ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
TERJOLA MUNICIPALITY CITY HALL

ბრძანება:**ბ28. 28260147**

თარიღი:**14/01/2026**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში პროფესიულ საჯარო მოხელეთა არსებულ ვაკანტურ პოზიციებზე, კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად საკონკურსო კომისიის შექმნისა და თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ -ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე“ პუნქტის ,,ე.ე“ ,,ე.ვ 1“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა“ პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N 204 დადგენილების მე-14 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

მუხლი1. კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად შეიქმნას საკონკურსო კომისია და საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მ.შ ნათია სახეჩიძე;

მუხლი 2. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს ნათია სახეჩიძეს დაევალოს საკონკურსო კომისიის წევრების დანიშვნა;

მუხლი 3. ბრძანება ჩაბარდეს ჯანდაცვისა და იურიდიული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მ.შ ნათია სახეჩიძეს;

მუხლი 4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მანუჩარ რობაქიძე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა. რუსთაველის ქ. N109, ტელ: 0491 24 44 64; 599 100 946
109, RUSTAVELI STR. TERJOLA. TEL: 0491 24 44 64; 599 100 946 EMAIL: INFO@TERJOLA.GOV.GE